ივანე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო - სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტთა 76 - ე საუნივერსიტეტო - სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება მიმდინარე წლის 7–8 ივლისს, 10:00-17:00 საათი (მეექვსე კორპუსი, 303 აუდიტორია).

მოხსენების ხანგრძლივობა 10 წუთი, დისკუსია 5 წუთი.

მომხსენებლებმა საპრეზენტაციო მასალა (power point presentation) უნდა გადმოაგზავნონ ელ-ფოსტაზე (socpol.science@tsu.ge) არაუგვიანეს 6 ივლისი 17:00 საათისა. სათაურის ველში დოკუმენტის სახელწოდებად მიუთითეთ სტუდენტის გვარი.

კონფერენციის დასრულებისას ჟიური გამოაცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს. თითოეული სექციიდან შესაძლოა გამოვლინდეს 3 გამარჯვებული. იმ სტუდენტთა ნაშრომები, რომლებიც დაიკავებენ I ადგილს, დაიბეჭდება თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში.

ჟიური კონფერენციის მონაწილეებს აფასებს ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმენის მიხედვით.

#	შეფასების კომპონენტები:	მაქსიმალური ქულა
1.	საკითხის აქტუალობა	10
2.	მეთოდოლოგია	20
3.	ანალიზის, არგუმენტების და დასკვნების გამართულობა	30
4.	მოხსენების სტრუქტურა, ენობრივი და სტილისტური გამართულობა	20
5.	საპრეზენტაციო მასალის ხარისხი და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი	20